

საქნახშირი

პრესრელიზი

ახალი პანდუსები ტყიბულში

„საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ ტყიბულის მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბულის“ ერთობლივი პროექტი მესამე ეტაპზე გადავიდა. სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ტყიბულის თეატრის შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის პანდუსის მონტაჟი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტის შენობაზე დაიწყო. კონსტრუქცია საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით კეთდება. უნდა აღინიშნოს რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში ოფიციალურად რეგისტრირებულია 1673 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აქედან 837 პირი მხოლოდ ქალაქ ტყიბულში ცხოვრობს. ვიმედოვნებთ რომ ამ პანდუსების დახმარებით მათი გადაადგილება, ყოველდღიური ყოფა, მუშაობა, სწავლა, გართობა დაგვიტეხვით უფრო გამარტივდება და მათთვის კიდევ უფრო ბევრი რამ გახდება ხელმისაწვდომი.

ვთვლით რომ ბიზნესის, სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ამგვარი თანადგომა-თანამშრომლობა გაცილებით საინტერესო და სასიკეთოა. მით უფრო რეგიონებში.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი“, პირველი კომპანიაა რომელმაც პანდუსების დამონტაჟება დედაქალაქის გარეთ - რეგიონებში დაიწყო. სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელსაც კომპანია რეგულარად ავითარებს რეგიონში.

01.07.2016

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიმიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საზადოების ტერიტორიაზე. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

